



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N3

ქ. მარნეული

04.02.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, გიორგი შუკაკიძე, ქამილ ალიევი, ლერი მუმლაძე, აზიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი.

არ ესწრებოდა: - ნაბი აბდულაევი, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, რაფიკ მუსაევი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

სხდომის დაწყებამდე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა კოტე ბოჭოიძემ ითხოვეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს დაემატოს ორი საკითხის განხილვა, რომლის შემდეგაც სანსახილველ საკითხთა დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადების (რეგ.N164/05. 25.01.2015წ) განხილვის შესახებ
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადების (რეგ.N163/05. 25.01.2015წ) განხილვის შესახებ
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 იანვრის N3-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 26 იანვრის N165-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 05 იანვრის N9-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ
7. სოციალური საკითხები
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ
9. მოქალაქე სადრადინ გადამოვის 2013 წლის 23 იანვრის საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ
10. მოქალაქე ჯეიხუნ კაბლაიმუსაევის 2014 წლის 11 ივლისის N223 საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ.
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 4 თებერვლის N03/553 წერილის განხილვის შესახებ.
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის სააკრებულოს წევრის ვანო ბურნაძის მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რაც გამოწვეულია იმით, რომ შედის ცვლილება 2016 წლის ბიუჯეტში. საკუთარი სახსრებიდან გამოთავისუფლდა 284.9 ათასი ლარი. აქედან 105.0 ათასი ლარით შემცირდა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი, ორგანიზაციული ბიუჯეტის კოდი „სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“. 9.9 ათასი ლარით შემცირდა „სკოლამდელი განათლების“ ვალდებულებების კლების მუხლი, 170.0 ათასი ლარით გაიზარდა შემოსავლები, კერძოდ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი. გამოთავისუფლებული სახსრები ხარჯვით ნაწილში გადანაწილდა მუხლობრივად: საქონელი და მომსახურება 179,0 ათასი ლარი - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა; არაფინანსური აქტივების ზრდა 90,0 ათასი ლარი - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა; 10,3 ათასი ლარი - სკოლამდელი განათლება; ვალდებულებების კლება 3,1 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის გამგეობა, 2,5 ათასი ლარი - სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ვალდებულებები განისაზღვრა 193,4 ათასი ლარით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების ნაწილი განისაზღვრა 21 129.4 ათასი ლარით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადება, რომელიც ითხოვს დაფინანსდეს ხოჯორნში მდებარე ეკლესიის სარემონტო სამუშაოები, რომლისთვისაც შეძენილია სამშენებლო მასალები და დარჩენილია მუშახელის შრომის ასანაზღაურებელი თანხა), რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადება, რომელიც ითხოვს ფინანსურ დახმარებას ხანძრის შედეგად დამწვარი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად ოროთახიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო შ.პ.ს. „მარნეული პლაზა“-ს განცხადება, რომელიც ითხოვს რუსთაველის ქუჩა N76-ში მდებარე 12 საცხოვრებელ ბინაზე ნუმერაციის მინიჭებას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე ცისანა ბაჟანიშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს მის საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.04.11.162, მიენიჭოს მისამართი: წერეთლის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი საიმერლო, ნ.ბარათაშვილის ქუჩა N14ა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე ადილ პირიევი ითხოვს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.23.613.01.501. მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N59გ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაფიკ მუსაევი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ბესიკ გუჯეჯიანმა ბიუროს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდებიან მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურისათვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ბესიკ გუჯეჯიანმა ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სოციალური პროგრამა. გამოითქვა აზრი, რომ საკითხის განხილვა მოხდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურმა განყოფილების მონაწილეობით, მუხლობრივად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი მოქალაქე სადრადინ გადმოვის 2013 წლის 23 იანვრის საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი მოქალაქე ჯეიხუნ კაბლაიშავეის 2014 წლის 11 ივლისის N223 საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 4 თებერვლის N03/553 წერილით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვანო ბურნაძის მოხსენებითი ბარათი მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის მიერ მოხმარებული ელენერგის დავალიანების დასაფარად 966 ლარისა და 39 თეთრის გადარიცხვის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მესამე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი:

ვალერი მეტრეველი